



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №6

ქალაქი ბათუმი

2021 წლის 16 ივნისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | | |
|----------------------|---|--|
| თამაზ სალუქვაძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების
კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - | საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |
| ნატალია ძიმიგური | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
ბათუმელები“ თავმჯდომარე; |

- ნერიმან ცინცაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - ბათუმელები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - ჩვენი ბათუმისათვის“ თავმჯდომარე;
- რაულ თავართქილაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- ვაჟა რამიშვილი - საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ:

- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- დიმიტრი ჭეიშვილი - საკრებულოს წევრი;
- თემურ კახიძე - საკრებულოს წევრი;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატი - ნაზი ფუტკარაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;
- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და წარმატებული დღე უსურვა, ასევე მან აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 4 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა. ასევე მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ დღის წესრიგთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრი უფლებამოსილებას პირადი განცხადებით მოხსნის შესახებ წერილობით აცნობებს საკრებულოს თავმჯდომარეს მისი უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტად ითვლება შესაბამისი განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღე, რასაც საკრებულო იღებს ცნობად და ასახავს საკრებულოს სხდომის ოქმში, რასთან დაკავშირებითაც მან საკრებულოს წევრებს გააცნო ლევან ანთაძის განცხადება, რომელიც ტოვებს საკრებულოს მანდატს, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 03 ივნისიდან ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, რაც საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის – ნაზი ფუტყარაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე - მიესალმა კოლეგებს, დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ გუშინ გვიან გახდა მისთვის ცნობილი საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ ჩატარებული რეორგანიზაცია, სადაც ხდება თანამშრომლების მასობრივი განთავისუფლება და ვაკანტურ ადგილებზე კონკურსის ჩატარება. დასვა კითხვა მასობრივი განთავისუფლების მიზეზის თაობაზე და საკრებულოს დაინტერესება მოიკითხა აღნიშნულ საკითხზე. ასევე აღნიშნა, რომ ბარცხანაში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანასთან გადის გზა, სადაც მოძრაობს მუნიციპალური და სხვა სახის ტრანსპორტი. გზა მწყობრიდან გამოსულია, რომელიც შესატანია რეაბილიტაციის ნუსხაში. ასევე პანდემიის პერიოდში დაზარალებულ კულტურის მუშაკები, თბილისში დახმარება მიმდინარეობს გასართობ ცენტრებზე, ბათუმში იგეგმება თუ არა რაიმე სახის დახმარება. აუცილებელია მოსახლეობის ინტერესიდან გამომდინარე პირველადი პროდუქტების დასახელებიდან პროდუქტებზე მომატებულია ფასები, რაზედაც არ ხდება რეგულაციები და მითითებები.

საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე მიესალმა და მადლობა გადაუხადა იაპონიის მთავრობას, რომელმაც გამოყო 140 მილიონი თანხა და ქალაქის სამაშველო სამსახურისთვის ავტოსამაშველო კიბე იქნა შეძენილი, რომელიც 40 მეტრის სიმაღლეზე მიწვდება. ასევე სპორტის სასახლეს რაც შეეხება, მშენებელ კომპანიასა და სახელმწიფოს შორის წარმოშობილია დავა და მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, რის გამოც სპორტსმენები ვერ ახერხებენ ვარჯიშს. ამიტომ საკრებულომ წერილობით დააყენოს იუსტიციის საბჭოს მიმართ საკითხი პროცესის გაჭიანურების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა თამაზ სალუქვაძემ არჩილ მამულაძეს უპასუხა, რომ ამ დღეებში სრულად მოხდება გზის რეაბილიტება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის – ნაზი ფუტყარაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 04 ივნისს შემოვიდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიიდან წარმოდგენილი N02-25(04.06.2021წ) კორესპონდენცია, რომლითაც წარმოდგენილია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 01/2021 განკარგულება, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ, თანდართული დოკუმენტაციით, შესაბამისად განსახილველად წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის - ნაზი ფუტკარაძის უფლებამოსილების ცნობა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ ლევან ანთაძეს წარმატებები უსურვა, ასევე ნაზი ფუტკარაძესაც უსურვა წარმატებები, რომელსაც გააჩნია გამოცდილება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლე ნაზი ფუტკარაძემ უფლებამოსილების ცნობის შემდეგ დაიკავა თავისი ადგილი და მიიღებს სამართლებრივი აქტების განხილვაში და კენჭისყრაში მონაწილეობას.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევა

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს მიესალმა და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არის ვაკანტური საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა, კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს ფრაქციას და საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/5.

საკრებულოს წევრმა ბესარიონ გოგოტიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის ელგუჯა ანდრიაძის კანდიდატურის წარდგენას მხარი დაუჭირა 8 საკრებულოს წევრმა.

სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

სხდომის თავმჯდომარემ მოახსენა, რომ კენჭისყრის პროცედურამდე საჭიროა დასახელებული კანდიდატის თანხმობა, ამიტომ მიმართა კანდიდატს თანახმაა თუ არა კენჭი იყაროს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე?

ელგუჯა ანდრიაძემ განაცხადა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეგლამენტის თანახმად არჩევნებს ატარებს საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია, ამდენად სთხოვა საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას, უზრუნველყოს საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევნებისათვის საჭირო პროცედურის განხორციელება.

ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევნებისათვის კომისიის წევრთაგან გამოვლენილ იქნა შემდეგი წევრები:

სხდომის თავმჯდომარე: დავით მახარაძე

სხდომის წევრები:

1. ვაჟა რამიშვილი
2. რაულ თავართქილაძე
3. ნერიმან ცინცაძე

კომისიის თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება საარჩევნო პროცედურების შესახებ და მოუწოდა საკრებულოს წევრებს გაითვალისწინონ საარჩევნო ბიულეტენში მითითებული წესები და კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად საარჩევნო კაბინაში შესვლით და შემდგომ ბიულეტენის კონვერტში მოთავსების შემდეგ მოათავსონ ყუთში.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ ნოდარ დუმბაძემ განაცხადა, რომ ფრაქცია კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებდა.

გაიმართა ფარული კენჭისყრის პროცედურა.

კომისიამ დაითვალა ბიულეტენები, კომისიის თავმჯდომარემ გააცნო იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის ოქმი, რომლის თანახმად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ელგუჯა ანდრიაძის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ ფარული კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიის წევრების მიერ დათვლილი ბიულეტენების დათვლის შემდეგ გამოვლინდა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ელგუჯა ანდრიაძის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობისათვის რეგისტრაცია გაიარა 15 საკრებულოს წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 15 საკრებულოს წევრმა.

ბიულეტენების რაოდენობა - 15

ბათილად ბიულეტენი- 0

გამოუყენებელი ბიულეტენი - 0

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადით არჩეული იქნა საკრებულოს წევრი ელგუჯა ანდრიაძე.

ეთხოვოს საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეს ხელი მოაწეროს განკარგულების პროექტს.

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 02 ივნისს საკრებულოს წევრ ლევან ანთაძის მიერ წარმოდგენილი N19/15211533-15 განცხადებით, რომლის თანახმადაც მან მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გასვლის შესახებ, შესაბამისად მიზანშეწონილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების შეტანა და ლევან ანთაძის გასვლა კომისიის შემადგენლობიდან.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან დღეს უკვე საკრებულომ აირჩია საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ ელგუჯა ანდრიაძე და რადგანაც წარმოდგენილი საკითხი ეხება ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების შეტანას, მიზანშეწონილია სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოდგენილ განკარგულების პროექტში კომისიის წევრი ელგუჯა ანდრიაძე განისაზღვროს კომისიის თავმჯდომარედ.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, ცვლილებების გათვალისწინებით:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის 02 ივნისს საკრებულოს წევრ ლევან ანთაძის მიერ წარმოდგენილი N19/15211533-15 განცხადებით, რომლის თანახმადაც მან მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გასვლის შესახებ, შესაბამისად მიზანშეწონილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების შეტანა და ლევან ანთაძის გასვლა კომისიის შემადგენლობიდან.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ი.თავართქილაძე — საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,
სხდომის მდივანი